## საქართველოს ბიზნესის აკადემია - SBA
## 2020-2027 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმის განხორციელების გრაფიკი

| სტრატეგიული ამოცანა | დასრულების წელი | | | | | | | | მაკოორდინირებელი | შესრულების ინდიკატორი | დადასტურების მტკიცებულება |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 2020 | 2021 | 2022 | 2023 | 2024 | 2025 | 2026 | 2027 | | | |
| ***სტრატეგიული მიზანი 1. შრომის ბაზრის მოთხოვნებისა ან/და საზოგადოების წევრთა პიროვნული განვითარების საჭიროებათა შესაბამისი პროგრამებისა და ინოვაციური სერვისების შეთავაზება*** | | | | | | | | | | | |
| 1.1. შეთავაზებული საგანმანათლებლო პროგრამების სპექტრის გაფართოება. | | | | | | | | | პროგრამებისა და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური | 1.საშუალოდ წელიწადში დამატებულია ორი პროგრამა. | 1. პროგრამის განხორციელების უფლების მიმნიჭებელი აქტი. |
| 1.2 აკადემიის მიერ განხორციელებული ყველა სასერტიფიკატო ან არაფორმალური განათლების პროგრამა შესაბამისობაშია შრომის ბაზრის განვითარების ტენდენციებთან ან პიროვნული განვითარების საჭიროებებთან. | | | | | | | | | პროგრამებისა და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური | 1. აკადემიის მიერ განხორციელებულ ყველა სასერტიფიკატო ან არაფორმალური განათლების პროგრამას გააჩნია რეალისტური დასაბუთება;<br>2.  პროგრამის განვითარების მეთოდოლოგია ითვალისწინებს არსებული პროგრამების შესაბამისობის შეფასებას, რომელიც სხვა გარემოებებთან ერთად მოიცავს კურსდამთავრებულთა დასაქმების, თვითდასაქმების, კურსდამთავრებულთა კმაყოფილების მაჩვენებლებს. | 1. მეთოდოლოგიის დოკუმენტი;<br>2. მიზანშეწონილობის დასაბუთება;<br>3. კვლევის შედეგები. |
| 1.3. აკადემიის მიერ არაფორმალური განათლების აღიარების სერვისის შესაძლებლობათა რეალიზება სწავლის გაგრძელების ან კვალიფიკაციის მინიჭების მიზნებისთვის. | | | | | | | | | სასწავლო პროცესის მართვის სამსახური | 1. გამოკითხულ სტუდენტთა არანაკლებ 50% აქვს დადებითი უკუკავშირი  არაფორმალური განათლების აღიარების სერვისების ცნობადობის შესახებ;<br>2. არაფორმალური განათლების აღიარების პროცედურის განხორციელების არანაკლებ 10 შემთხვევა | 1. გამოკითხვის შედეგები;<br>2. ცნობიერების ამაღლებისთვის გამოყენებული რესურსები;  3.არაფორმალური განათლების აღიარების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები. |
| 1.4. აკადემიის მიერ შეთავაზებული სერვისები მორგებულია პროფესიულ სტუდენტთა საჭიროებებზე. | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. საშუალოდ წელიწადში აკადემიის ან სტუდენტების მიერ ინიცირებული არანაკლებ 2 აქტივობა;<br>2. გამოკითხულ სტუდენტთა არანაკლებ 90% კმაყოფილია აკადემიის მიერ გაწეული ადმინისტრაციული მხარდაჭერის სერვისებით. | 1. ინიცირებული აქტივობები;<br> 2. კმაყოფილების კვლევის ანგარიშები. |
| ***სტრატეგიული მიზანი 2. ინსტიტუციური შესაძლებლობები უზრუნველყოფენ აკადემიის წარმატებულ ფუნქციონირებას*** | | | | | | | | | | | |
| 2.1 აკადემიის ინფრასტრუქტურა შეესაბამება თანამედროვე ტენდენციებს და სრულად უზრუნველყოფს აკადემიის მიზნების მიღწევას. | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. მოწყობილია მინიმუმ 6 ახალი ლაბორატორია;<br>2. მოწყობილია არანაკლებ ერთი სტუდენტური სივრცე;<br>3. მოწყობილია სპორტული ინფრასტრუქტურა;<br>4.ფუნქციონირებს კაფეტერია;<br>5.პერსონალისა სტუდენტთათვის შეთავაზებულია ტრანსპორტირების სერვისი;   6. მიმდინარე საჭიროებების გათვალისწინებით გაუმჯობესებულია კომპიუტერული ბაზა, ტექნიკა, ქსელი და პროგრამული საშუალებები | 1. ახალი ლაბორატორიები;<br>2. სტუდენტთა მოსასვენებელი სივრცეები;<br>3. სპორტული ინფრასტრუქტურა;<br>4. შეძენილი ან იჯარით აღებული ტრანსპორტი;<br>5. გამართული ქსელური და პროგრამული საშუალებები-სერვერები. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 2.2 ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სტანდარტებთან აკადემიის შენობა - ნაგებობის შესაბამისობაში მოყვანა. | | | | | | | | | ჯანდაცვისა და უსაფრთხოების სამსახური | 1. აკადემიის ყველა სივრცეში დაცულია კანონმდებლობით მოთხოვნილი უსაფრთხოების ზომები. | 1. ვიდეო სამეთვალყურეო კამერების შესაბამისობის დასკვნა;<br>2. სახანძრო უსაფრთხოების შესაბამისობის დასკვნა;<br>3. მდგრადობის დასკვნა. |
| 2.3 ხარისხის უზრუნველყოფის სისტემის განვითარება. | | | | | | | | | ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური | 1. აკადემიის ყველა მარეგულირებელი აქტი რევიზირებულია.<br>2. აკადემიის ყველა პროცესი აღწერილია სქემატურად. | 1. სქემატურად გაწერილი პროცესები ყველა სამსახურის ფარგლებში. |
| 2.4 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის ეფექტურობის გაზრდა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. ამოქმედებულია ადმინისტრაციული პერსონალის შეფასების და პროფესიული განვითარების სისტემა;<br>2. ამოქმედებულია მასწავლებლების შეფასების და პროფესიული განვითარების სისტემა. | 1. განახლებული სტრუქტურა;<br>2.შეფასების სისტემა;<br>3. HR პოლიტიკა. |
| 2.5 აკადემიის ფინანსური მდგრადობის ზრდა. | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. მზარდია არასაბიუჯეტო შემოსავლების დინამიკა. | 1. ფინანსური ანგარიშები. |
| 2.6 კონცეპტუალური მარკეტინგული იდენტობის შექმნა | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. შექმნილია ბრენდბუქი;<br>2. განახლებული ვებ-გვერდი არის მომხმარებელზე მორგებული;<br>3. მზარდია სოც ქსელების გამომწერთა რაოდენობა. | 1.შექმნილი ბრენდბუქი;<br>2. ანალიტიკური მონაცემები; 3.განახლებული ვებ-გვერდი;<br>4. ვებ-გვერდის მომხმარებელთა კვლევის შედეგები. |
| ***სტრატეგიული მიზანი 3. აკადემიის ინტერნაციონალიზაციის პოლიტიკა ხელს უწყობს საერთაშორისო თანამშრომლობას ინსტიტუციურ დონეზე, ასევე ხელს უწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმების შესაძლებლობების გაძლიერებას საერთაშორისო შრომის ბაზარზე, საგანმანათლებლო სერვისის ექსპორტს და ქვეყნის ინტეგრაციას საერთო ევროპულ სივრცეში.*** | | | | | | | | | | | |
| 3.1 უცხოენოვანი, ერთობლივი ან გაცვლითი პროგრამების შემუშავება. | | | | | | | | | პროგრამებისა და საგანმანათლებლო სერვისების განვითარების სამსახური | 1. შენარჩუნებულია არსებული უცხოენოვანი პროგრამა;<br>2. შემუშავებულია მინიმუმ ერთი ერთობლივი ან გაცვლითი პროგრამა უცხოურ ორგანიზაციასთან. | 1. ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილება უცხოენოვანი პროგრამის თაობაზე;<br>2. ერთობლივი ან გაცვლითი პროგრამის დამტკიცების აქტი და თანამშრომლობის მემორანდუმი უცხოურ ორგანიზაციასთან. |
| 3.2 აკადემიის პერსონალის შესაძლებლობების განვითარება ინტერნაციონალიზაციის მიზნებისათვის. | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. ადმინისტრაციული პერსონალის არანაკლებ 50% ფლობს ინგლისურ ან გერმანულ ენას არანაკლებ B2 დონეზე;<br>2. აკადემიის მასწავლებელთა არანაკლებ 50% მონაწილეობა აქვს მიღებული პროფესიული განვითარების საერთაშორისო (უცხოური ქვეყნის წარმომადგენლებთან თანამონაწილეობით/ მათი ორგანიზებით გამართულ) ღონისძიებაში;<br>3. აკადემიას ჰყავს თანამშრომელი რომელსაც გააჩნია უცხოური პროექტების შექმნის დადასტურებული კომპეტენცია ან/და მასში მონაწილეობის გამოცდილება;<br>4. აკადემიას ჩატარებული აქვს არანაკლებ 2 მასტერკლასი/ვორქშოპი/კონფერენცია უცხოელი ექსპერტების მონაწილეობით, რომელიც ემსახურება აკადემიის პერსონალის პროფესიულ განვითარებას. | 1. ენის ფლობის სერტიფიკატი ან უცხოეთში მუშაობის/სწავლის გამოცდილების ქონის დამადასტურებელი დოკუმენტი ან აკადემიის მიერ ორგანიზებული გამოცდის ჩაბარების შესახებ ცნობა. |
| 3.3 აქტიური ჩართულობა პროფესიულ განათლებასთან დაკავშირებულ საერთაშორისო პლატფორმებში და აქტიური პარტნიორული ურთიერთობების განვითარება უცხო ქვეყნის ორგანიზაციებთან. | | | | | | | | | რექტორი | 1. აკადემიას აქვს აქტიური წევრის სტატუსი არანაკლებ ერთ საერთაშორისო პლატფორმაზე.<br>2.აკადემიას აქვს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმი არანაკლებ 10 უცხოურ ინსტიტუციასთან, რომლის ფარგლებშიც განხორციელებული აქვს არანაკლებ ერთი აქტივობა ან განხორციელებული აქვს ერთობლივი პროექტი. | 1. წევრობის დამადასტურებელი დოკუმენტი ან წევრების ვებ-გვერდი;<br>2.ხელშეკრულებების რეესტრი |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.4 აკადემიის ინსტიტუციური შესაძლებლობების განვითარება საერთაშორისო თანამშრომლობის განსახორციელებლად. | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. აკადემიის საინფორმაციო ინფრასტრუქტურა არის მინიმუმ ორენოვანი, რისთვისაც აზრები, ინსტრუქციები, წესები მიმმართველები ხელმისაწვდომია ქართულ და ინგლისურ ენებზე;<br>2. აკადემიის ბრენდბუქი ითვალისწინებს საერთაშორისო თანამშრომლობის სპეციფიკას, რისთვისაც გააჩნია ბრენდირებული უცხოენოვანი მარკეტინგული რესურსები. რესურსები უზრუნველყოფილია მინიმუმ ინგლისურ ენაზე;<br>3. აკადემიის სტრუქტურა ითვალისწინებს სათანადო კომპეტენციის მქონე კადრს საერთაშორისო თანამშრომლობის და უცხოენოვანი სერვისების გაწევისათვის. საშტატო განრიგი ითვალისწინებს სათანადო კომპეტენციის არანაკლებ ერთ საშტატო ერთეულს;<br>4. უცხოენოვანი პროგრამები უზრუნველყოფილია შესაბამის ენაზე არსებული სასწავლო რესურსებით. პროგრამაში გამოყენებული რესურსის 100% უცხოენოვანია, პროგრამის განხორციელების ენაზე.<br>5. აკადემიის სასწავლო პროცესში ხელმისაწვდომია უცხოური, თანამედროვე სასწავლო რესურსების გამოყენება/ადაპტირება.<br>გამოყენებულია/ადაპტირებულია არანაკლებ 20 უცხოური საგანმანათლებლო რესურსი.<br>6. აკადემიის უცხოენოვანი პროგრამები ითვალისწინებენ დისტანციური/ჰიბრიდული სწავლების შესაძლებლობას აკადემიას გააჩნია უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის სერვისების პაკეტი, რომელიც ითვალისწინებს მათი სავიზო და საზღვრის კვეთის მხარდაჭერას, ქვეყანაში ადაპტაციის ღონისძიებებს, ქვეყანაში კანონიერად ყოფნის ღონისძიებებს, ქვეყანაში ცხოვრების მხარდამჭერ სერვისებს, მასპინძელი მხარის (პერსონალი, სტუდენტები) ცნობიერების ამაღლების ღონისძიებებს უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ადაპტირების ხელშეწყობისათვის. | 1. ფიზიკური დათვალიერება; აკადემიის ინგლისურენოვანი ვებ-გვერდით, ინგლისურენოვანი კატალოგით და საინფორმაციო მასალებით, სოციალურ მედიაში განთავსებული უცხოენოვანი ინფორმაციით;<br>2.საშტატო განრიგი და პოზიციის სამუშაო აღწერილობა;<br>3. პროგრამის შეფასების დოკუმენტი;<br>4. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის ინფორმაცია პროგრამებში უცხოური თანამედროვე რესურსების გამოყენების თაობაზე;<br>5. პროგრამების შეფასების დოკუმენტი, სერვისების პაკეტი, მათი გაწევის პირობები და ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. |

| | | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 3.5 სტუდენტების მხარდაჭერა ინტერნაციონალიზაციის პროცესში | | | | | | | | | ადმინისტრაციული სამსახური | 1. აკადემიის პროფორიენტაციისა და კარიერული განვითარების სერვისები მოიცავს ინფორმაციის მიწოდებას საერთაშორისო შრომის ბაზარზე დასაქმების/უცხოეთში სწავლის გაგრძელების შესაძლებლობების შესახებ;<br>2. აკადემიის პროგრამების განვითარებისას ხდება იდენტიფიცირება საერთაშორისო შრომის ბაზარზე გამოყენებადი უნარებისა, რაზეც აქცენტი კეთდება პროფორიენტაციის დროს;<br>3. არანაკლებ პროგრამების 50% გაანალიზებულია ინტერნაციონალიზაციის შესაძლებლობების ჭრილში.<br>4. აკადემია საზოგადოებას სთავაზობს დამატებით ტრენინგ პაკეტებს, რაც ხელს უწყობს მათ წარმატებულ დასაქმებას საერთაშორისო შრომის ბაზარზე (სპეციალური კურსები, ენის კურსები, კულტურული და სოციალური ადაპტაციის საინფორმაციო შეხვედრები და სხვა); ამ მიზნით შექმნილია არანაკლებ სამი კურსი/ტრენინგ პაკეტი.<br>4.აკადემია ხელს უწყობს „გლობალური მოქალაქის“ ჩამოყალიბებას სტუდენტებისათვის სხვადასხვა ქვეყნებისა და კულტურების (უპირატესად ევროპული სივრცის) გაცნობის და ამ ქვეყნების შესახებ ცნობიერების ამაღლების არაფორმალური აქტივობებით, ასევე სტუდენტურ და სხვა საჯარო სივრცეებში ინტერნაციონალიზაციის აქცენტების გაძლიერების და საერთაშორისო თანამშრომლობის პროექტებში მათი ჩართვის შესაძლებლობების შეთავაზების გზით. არანაკლებ წელიწადში 2 ინიციატივა/ ღონისძიება. | 1. სერვისების პაკეტის შინაარსი;<br>2. პროგრამების კატალოგი და სხვა სახის გავრცელებული ინფორმაცია;<br>3. სპეციალური კურსების/ ტრენინგ პაკეტების შესახებ ინფორმაცია;<br>4. „გლობალური მოქალაქეობაზე“ მიმართული ღონისძიებების და ინიციატივების შესახებ ინფორმაცია. |